ასე დაამთავრეს I წრე

ვოროშილოვგრადი. “ავანგარდის” სტადიონი. 26 ივლისი.

“ზარია” (ვოროშილოვგრადი) – “დინამო” (თბილისი) 2:1 (2:0).

“ზარია”: ტკაჩენკო, პინჩუკი, მალიგინი, ს. კუზნეცოვი, ვასენინი, ჟურავლიოვი, ვ. კუზნეცოვი, ბელოუსოვი, ელისეევი (ანდრეევი), კუკსოვი, შილინი.

“დინამო”: გაგოშიძე (გოგია), ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, კანთელაძე, გავაშელი, მჭედლიშვილი (ასათიანი), მ. მაჩაიძე, გუცაევი, გ. ნოდია, რეხვიაშვილი.

მსაჯი: კ. სმირნოვი (ლენინგრადი).

გვახსენდება 1972 წელი, სეზონი, რომელმაც ესოდენ დიდი სიხარული მოგვიტანა ვოროშილოვგრადელ ფეხბურთის მოყვარულებს. “ზარიამ” დაძლია კიევის, მოსკოვის, თბილისის გუნდების, აღიარებული ფავორიტების წინააღმდეგობა და საოცარი რამ გააკეთა – სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა. დიდი ზეიმი გვქონდა მაშინ ვოროშილოვგრადში. სულ 2 წელი გავიდა მას შემდეგ და ის სასიხარულო დღეები აღარც გვახსოვს. რის ზეიმი, როცა ჩვენი გუნდი ბოლო ადგილზეა უმაღლეს ლიგაში და თუ საქმე არ გამოკეთდა, შეიძლება I ლიგაში ამოვყოთ თავი.

საზეიმოდ არც თბილისელ გულშემატკივრებს აქვთ საქმე. გუნდი, რომელიც ჩემპიონიც იყო, მეორე და მესამე საპრიზო ადგილებიც მრავალჯერ დაუკავებია, ახლა თავის შესაძლებლობებზე გაცილებით უფრო სუსტად თამაშობს.

და აი, ორი ექს–ჩემპიონის მატჩი ვოროშილოვგრადში. უწინ ასეთ შეხვედრებს ხალხი მრავლად ეტანებოდა, ახლა კი დიდი ენთუზიაზმი ქალაქში არ გამოუჩენიათ. ეტყობა, მაყურებელი ხეირიანს არაფერს მოელოდა აუტსაიდერთა მატჩიდან, რომელსაც მხოლოდ ის უნდა გადაეწყვიტა, თუ ვინ შეძლებდა ქულების აღებას და თავისი უხეირო მდგომარეობის გამოსწორებას.

და ის, ვინც სტადიონზე არ მოვიდა, სწორი გამოდგა. მატჩი დაბალ სპორტულ დონეზე მიმდინარეობდა, უინტერესო, პრიმიტიული იყო და ამაში, საკვირველია, თავი დინამოელებმა უფრო “გამოიჩინეს”. თუ მასპინძლები მაღალ კლასს ვერ აჩვენებდნენ, მაგრამ გამარჯვების მოსაპოვებლად მაინც იბრძოდნენ, სტუმრებს საამისო არაფერი ეტყობოდათ. არავითარი აღმაფრენა, არავითარი მობილიზება, “დინამო” უსახელოდ აგებდა მატჩს და სრულიადაც არ ცდილობდა გარდაექმნა თამაში. არ შეეცადა მოებრუნებინა მისი ბედი. პირდაპირ გასაოცარი იყო მათი გულგრილობა მინდორზე.

“ზარიას” წარმატება მოუტანა მე–16 და მე–18 წუთებმა, როცა ბელოუსოვმა და ვ. კუზნეცოვმა ზედიზედ ორჯერ აიღეს მოწინააღმდეგის კარი.

მასპინძლები მეორე ტაიმშიც ხშირად უტევდნენ, თბილისელთა კარი მრავალჯერ იყო სახიფათო სიტუაციაში, მერე კი “ზარიამ” როგორღაც უცებ და გაუმართლებლად მოუკლო თამაშს. დინამოელებმა მხოლოდ ბოლო 15 წუთის მანძილზე გამოაცოცხლეს თამაში და ერთადერთი საპასუხო ბურთიც გაიტანეს 90–ე წუთზე 11–მეტრიანი დარტყმით (ნოდია).

რ. კლიმონკო (ტელეფონით).

“ლელო”, 28 ივლისი, 1974 წ.